სამშაბათი, 23 ნოემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 სამშაბათი, 23 ნოემბერი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ. — კ.
11	,,	9 ,, 50 ,,
10	,,	8 ,, 75 ,,
9	,,	8 ,, — ,,
8	,,	7 ,, 25 ,,
7	,,	6 ,, 50 ,,
6	,,	6 ,, — ,,
5	,,	5 ,, 50 ,,
4	,,	4 ,, 75 ,,
3	,,	3 ,, 50 ,,
2	,,	2 ,, 75 ,,
1	,,	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 268 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 268

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილ შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვეში—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ., თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზე ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ან რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმპერიასში გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ. 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზე ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

ტელეფონი № 63. აბონემენტის გარეშე წარმოდგენა № 6.

სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს, 1904 წ.

ბენეფისი მ. აბაშიძისა

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ორი ახალი პიესა**

I

მ ე უ ღ ლ ე ნ ი

კომ. 5 მოქმ., თხზ. გ. სუდერმანისა, სომ. ხურადან ნათარგმნი ი. მჭედლიძის მიერ.

II

ბ ე ნ ე ფ ი ს ი ს წ ი ნ

სცენები 1 მოქმ., თხზ. პ. უმიკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ლიდავა, მესხი, ნ. ჩხეიძე და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ჩირქვიანი დ სხვ.

ადგილების ფასი საოპეროა. ➜ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში „ლოკახიონში“ ამხანაგობის დირექცია. მორიგე რეჟისორი ვ. აბაშიძე.

სეზონის ბილეთები და კონტრამარკები გაუქმებულია.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

სამშაბათს, 23 ნოემბერს,

წარმოდგენილი იქნება

ტ რ უ ბ ა დ უ რ ი

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტომკეევი, შიხუცკაია-მინჩენკო, ზასლავსკისა და სხვ.; ბ-ნნი რიბაკოვი, კომაროვი, პოლუბინოვსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

კაპელმეისტერი: ნ. შიკანშენსკი. უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბაგაევი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს,

გაიმართება ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის-მიერ ქართული წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქნება

I

მ ე უ ღ ლ ე ნ ი

II

ბ ე ნ ე ფ ი ს ი ს წ ი ნ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ხუთშაბათს, 25 ნოემბერს,

მეორე დებიუტი ე. ი. ლაზარევისა.

წარმოდგენილი იქნება

კ ა რ მ ე ნ ი

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«მანდარინის შვილი»**, ც. კიუისა და **«მანონი»**, მუსიკა მასსენესი.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კალდერონი

ქართველნი მკურნალნი:

ზედგინიძე მიხეილ,—ვორონცოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

მძღოლიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიტევისა, № 5

კბილის ექიმი ნ. ტუმანიშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გაბაშვილი გრიგოლ,—კირზების ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა. საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—დოროსმედიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის ჰირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(ვეკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

შ. მ. ჩიქოვანი, 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა;

მ. ზ. ავეტიხიანცი, 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ სიფილისურ ავადმყოფობისა

ზ. ი. ბაბანასოვი, დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ ი. მძღოლიშვილი, 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ნ. სოლოლაშვილი, 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შაჩიგინინა**. 1½—2 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

შ. ა. არდაზიანი, აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას. 5 7 საათ.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს საბ-ლში და მშობელთა მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს სიმეჭით გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ძ. ზძ-ლიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

გენერალ კუროკისა და გენერალ ლინევიჩის ჯარები. «რუს. ვედ.»-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. სწერს: იაპონელების მიერ ოფიციალურად გამოცხადებული ცნობა 13 ნოემბერს პორტ-არტურის იერიში დაწყების შესახებ ძალიან გვაფიქრებს; გვგონია, რომ პორტ-არტურის მამაც დამცველთ უკანასკნელი დღეები დაუდგათ. იაპონიის მთავარ-შტაბს ჯერ არც ერთხელ არ გამოუცხადებია, პორტ-არტურის საერთო იერიშის დაწყება, რამაც საბოლოოდ უნდა გადასწყვიტოს ციხის ბედ-იღბალი. აქამდე იაპონელები ოფიციალურად იუწყებოდნენ თავიანთ ჯარის მხოლოდ ან ცალკ-ცალკე ფორტების წინააღმდეგ მოქმედებას, ანაც მოსამზადებელ ოპერაციებს. პორტ-არტურის საერთო იერიშის შესახებ ოფიციალურად გამოცხადება იმას ამტკიცებს, რომ ეხლა იაპონელებმა საბოლოოდ გადასწყვიტეს: რათაც უნდაც დაჯდეს, პორტ-არტურს ბოლო მოუღონ. საგულისხმოა, რომ, ზოგიერთთა ცნობებით, გენერალ ნოგის ჯარს ხელმძღვანელობს მარშალ ოიამას მთავარ-შტაბის უფროსი გენერალი კოდამა (კოდამას თანამდებობას უნდა ასრულებდეს მისი თანაშემწე, განთქმული გენერალი ფუკუშიმა). გენერალ კოდამას სიტყვით, ნოემბრის დამდეგს პორტ-არტურის წინააღმდეგ იაპონელებს ჰყავანდათ 70,000 კაცი. რადგან გენერალ ნოგის 80,000—85,000 კაცზე მეტი არ ეყოლება, ამიტომ ის ცნობა, ვითომც ნოგიმ თავის ჯარის ერთი ნაწილი მარშალ ოიამას მანჯურიაში მიაშველაო, ტყუილი უნდა იყოს. ეს ხმა იმიტომ გავარდა, რომ იაპონელები გენერალ ნოგის ჯარს მანჯურიაში გადასაყვანად ეხლავე ამზადებენ. იაპონელებს პორტ-არტურის იერიშმა ხელი არ შეუშალა, რადგან მარშალ ოიამას ჯარს მანჯურიაში მაშველი ჯარი კიდევ გაუგზავნეს. წინანდელ ცნობას—ოიამასთვის გაგზავნილ მაშველ ჯარის რაოდენობის შესახებ ჩვენი კორესპონდენტებიც ამტკიცებენ. იმათის ცნობებით, ოქტომბერში ოიამას იაპონიიდგან 60,000-მდე კაცი და 40 ზარბაზანი მოუვიდა, ასე რომ, ეხლა მარშალ ოიამას უნდა ჰყვანდეს 360,000—370,000 კაცი; გენ. კუროპატკინს კი შეუძლიან ამ ჯარის წინ დააყენოს 340,000—350,000 კაცი. მარშალ ოიამას ჯარის რაოდენობა არც იმდენად აღემატება კუროპატკინის რაოდენობას, რომ მას დაუყოვნებლივ რუსებზე იერიშის მიტანა შეეძლოს. ოიამას მხოლოდ პორტ-არტურის აღების შემდეგ შეეძლება წინ გამოილაშქროს. მაგრამ მარშალმა ოიამამ განიზრახა, პორტ-არტურის აღებას არ მოუცადოს და თავის ჯარის განაპირა მარჯვენა ფრთა დანარჩენ ჯარებს გაუსწოროს, რუსების მარცხენა ფრთას გვერდიდგან მოუაროს და ისე დადგეს, რომ, თუ ვინიცობაა გენ. კუროპატკინის მთავარი ჯარი დამარცხდა, ამ ჯარს რუსებისათვის უკან დასახევი გზის მოჭრა შეეძლოს. აქედგან სჩანს, რომ მომავალ სამხედრო მოქმედების დროს გენერალ კუროკის ჯარს დიდი და უმთავრესი მნიშვნელობა ექნება. «რუს. სლ.»-ის კორესპონდენტი ირწმუნებოდა, რომ მაშველის ჯარის უმეტესი ნაწილი ოიამამ გენერალ კუროკის ბენსიხუში გაუგზავნაო. ეხლა კუროკის ჯარის რაოდენობა უნდა იყვეს არა ნაკლებ 150,000—160,000 კაცისა. გენერალ კუროკის ჯარის პირდაპირ რუსებს უდგათ მანჯურიის პირველი არმია გენერალ ლინევიჩისა. (რუს. ვ.).

—

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი. «ნოვოე ვრემია»-ს თანამშრომელი სწერს: ომის საბოლოოდ დასრულებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ არის შორეულ აღმოსავლეთის ზღვების ბატონი. მთელი რუსეთი გულის ფანცქალითა და დიდის იმედით თვალყურს ადევნებს შორეულ აღმოსავლეთში მიმავალს ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრას. ყველა რუსი უნებლიედ ჰკითხულობს — სრულიად უზრუნველყოფილია თუ არა რუსეთის მეორე ესკადრის გამარჯვება და ამ გამარჯვებისთვის ყველაფერი მზად არის, თუ არა? თმა ყალხზე გვიდგება, როცა მოგვაგონდება ხოლმე, რომ შეიძლება ჩვენი ესკადრა დამარცხდეს და ლონე შემოლეულმა უმოქმედოთ ვლადივოსტოკში შეაფაროს თავი! ვთქვათ, რომ ჩვენი ესკადრა დანიშნულ ადგილამდე უვნებლად ჩავიდა და ადმირალ ტოგოს შეებრძოლა. ამ შემთხვევაში იმედი კი გვაქვს, რომ ჩვენი ესკადრა პირველ ბრძოლაში გაიმარჯვებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამაში ჩვენ დარწმუნებული არა ვართ. ადმირალ ტოგოს ჰყავს 4 საესკადრო ჯავშნიანი გემი: «მიკაზა», «ასახი», «შიკიშიმა», «ფუჯი» და 8 ჯავშნიანი კრეისერი: «ივატე», «იძუმო», «აზუმა», „იაკუმო“, «აზამა», «ტოკივა», «ნისსინი» და «კასუგა». ამის გარდა სითვალავში უნდა ჩავაგდოთ ჯავშნიანი გემი «იაშიმა», რომელიც, ზოგიერთების სიტყვით, «ხაცუზე»-სთან ერთად დაიღუპა, მაგრამ სჯობია ამ ცნობებს არ დავუჯეროთ და ეს გემიც ვიანგარიშოთ. ამ ესკადრას, უეჭველია, მიეშველება 2 ძველი ჯავშნიანი გემი და 12—15 პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი 1 და 2 ხარისხისა, რომელნიც თანამედროვე ზარბაზნებით არიან შეიარაღებულნი და სწრაფადაც დადიან. ნაღმიანი გემები ადმირალ ტოგოს 50—60-ზე ნაკლები არ უნდა ჰყავდეს. ამას უნდა მივუმატოთ კიდევ თხუთმეტიოდე საკანუნეირო გემი და რამდენიმე წყალქვეშმავალი ნავი. ადმ. როჟესტვენსკის ჰყავს 7 ახალი ჯავშნიანი გემი: „სუვოროვი“, «ალექსანდრე მე-III», ბოროდინო», «ორიოლი», «ოსლიაბია», ერთი ძველი, მაგრამ ახალ ზარბაზნებით შეიარაღებული ჯავშნიანი გემი «სისოი ველიკი» და ერთიც ძველი და ძველ ზარბზნებით შეიარაღებული «ნავარინი». ამის გარდა, კიდევ ჰყავს ერთი ძველი ჯავშნიანი კრეისერი—«ადმირალი ნახიმოვი», ახალი—«ოლეგი», 5 პალუბა-ჯავშნიანი ძველი და ახალი კრეისერი და 12 ნაღმიანი გემი, ვლადივოსტოკში ორი ჯავშნიანი კრეისერი — «გრომობოი» და «როსსია», ერთი პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი «ბოგატირი» და რამდენიმე პატარა და ძველი ნაღმიანი გემი. პორტ-არტურშიაც არის საკმაოდ ძლიერი ფლოტი (5 ჯავშნიანი გემი, 1 ჯავშნიანი კრეისერი, 1 პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი და რამდენიმე ნაღმიანი გემი და საკანონირო ნავი), მაგრამ ამ ესკადრის იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან, ჯერ ერთი, ამ გემების არტილერიის ნაწილი ხმელეთზეა გადატანილი და მეორეც, როგორც ამბობენ, თითქმის ყველა გემი იაპონელების ყუმბარებისგან არის დაზიანებული. ის დრო უკვე წავიდა, როცა პორტ-არტურის ესკადრას დიდის სარგებლობის მოტანა შეეძლო. მას შემდეგ, რაც ეს ესკადრა 28 ივლისს მომხდარ ბრძოლის შემდეგ პორტ-არტურშივე დაბრუნდა, მან თავის თავი ნავთ-სადგურში ჩაიკეტა და მას აქეთ სანაპირო ბატარეებს შველის. ეს კი ფლოტისათვის არაბუნებრივი როლია. ყველა ეს მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ ჩვენ ფლოტის დანიშნულება არ გვესმის, მისი ნამდვილი დანიშნულება ვერ გამოგვიყენებია და აქამდის ვერც სევასტოპოლმა და ვერც ბერლინის კონგრესმა ვერაფერიც ვერ გვასწავლა. ნუ თუ იაპონიასთან ომიც ვერ გვასწავლის ამას? ოჰ, როგორ გვეძნელება რუსებს ამის სწავლა!

ციხის დანიშნულება ის არის, რომ საბრძოლველად მოუმზადებელ ფლოტს თავი შეაფარებინოს, ეხლა კი პორტ-არტურის ესკადრა თავის ზარბაზნებით ციხესა შველის და ბოლოს ეს ესკადრა უნდა აფეთქდეს, თვითონვე თავის თავი უნდა გაინადგუროს! რით უშველა პორტ-არტურმა ჩვენს ფლოტს? მაშინაც კი, როცა იაპონელები ციხის მოწინავე სიმაგრეების წინააღმდეგ მოქმედებდნენ, იაპონელების ყუმბარები ნავთსადგურსა და ქალაქს უწევდა. პორტ-არტურში არ იყო არც ერთი დოკი, სადაც დაზიანებულ გემების შეკეთება შეიძლებოდეს და არც საჭირო ინჟენრები, ხელოსნები და მუშები არ აღმოჩნდნენ.

პორტ-არტურში არა ჰქონდათ ნავთსადგურის დასაცველად საჭირო ნაღმები. ამათ მაგივრად ზღვაში ისეთი ნაღმები გაჰფანტეს, რომელიც ჩვენის ესკადრისთვისაც საშიში იყო. ეს ნაღმებიც გემებიდგან წამოიღეს და ამით ფლოტს საბრძოლველი ძალა შეუმცირეს. პორტ-არტურის ესკადრა უეჭველად ვლადივოსტოკში უნდა გადასულიყო და თუ იაპონელები ამ განზრახვას წინაღუდგებოდნენ, ჩვენი ფლოტი უნდა შებრძოლებოდა იმათ. უნდა ებრძოლა იქამდის, სანამ ერთი ზარბაზანი და ერთი ყუმბარა მაინც ექნებოდათ. ამ ბრძოლაში ჩვენი ფლოტი უნდა დაღუპულიყო, მაგრამ იაპონიის ფლოტისთვის საგრძნობელი ზარალი უნდა მიეყენებინა და ამით ბალტიის ესკადრისთვის საქმე გაეადვილებინა. მაგრამ ჩვენი ესკადრა ასე არ მოიქცა. თუ იაპონელებმა პორტ-არტური აიღეს, მწუხარებით უნდა გამოვტყდეთ, რომ პორტ-არტურის ფლოტი ტყუილად დაგვეკარგა, იაპონელებმა კი თავიანთი ფლოტი თითქმის უვნებლად შეინახეს და შესაძლებელია ამ ფლოტით ჩვენ მეორე ესკადრაც დაამარცხონ. ეს საშინელება!..(ნოვ ვრ.).

—

მარშალ ოიამას მოსაზრებანი. ინგლისურ გაზეთ «კლოდ»-ის კორესპონდენტი, რომელიც ოკუს ჯართან იმყოფება, ამტკიცებს: მარშალმა ოიამამ სამხედრო მოქმედება ჯერ-ჯერობით მარტო იმიტომ კი არ შეაჩერა, რომ მანჯურიაში დიდი სიცივეები დაიწყო, არამედ იმიტომაც, რომ ეს შეჩერება იაპონელების სამხედრო მოქმედების საზოგადო გეგმის შემდეგმა მოსაზრებამაც გამოიწვია: მარშალმა ოიამამ ძალიან კარგად იცის, რომ გენერალ კუროპატკინს განუწყვეტლივ მაშველი ჯარი მოსდის, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ ციმბირის რკინის გზა კუროპატკინს თვეში 35 ათას კაცზე მეტს ვერ მოაწოდებს. მარშალმა ოიამამ ამას გარდა ისიც მშვენივრად იცის, რომ, თუმცა რუსეთის მთავრობა შორეულ აღმოსავლეთში ჯარის გასაძლიერებლად არაფერს არ ერიდება და ყოველ გვარ საშუალებას ხმარობს, მაგრამ შორეულ-აღმოსავლეთში რუსეთს 750,000 კაცზე მეტის ჩამოყვანა მაინც არას გზით არ შეუძლიან. ზემოდ მოყვანილი რიცხვი რუსეთის ჯარის რაოდენობისა არც მარშალ ოიამასა და არც იაპონიის მთავარ შტაბს სულაც არ აშინებს, რადგან, ჯერ ერთი: როცა რუსეთის ჯარის რაოდენობა 750 ათასამდე აიწევს, მაშინ ამ ჯარის, ერთი მესამედი შედგენილი იქნება სათადარიგო ჯარის კაცებისგან, რომელნიც იაპონიის ჯარს წინააღმდეგობას ვერას გზით ვერ გაუწევენ, და მეორეც—იაპონია შემდეგშიაც სწორედ იმდენსავე ჯარს იყოლიებს, რამდენიც რუსებს ეყოლებათ, და თვეში მხოლოდ 35,000 კაცს მოიყვანს, ე. ი. სწორედ

იმდენს, რამდენიც გენერალ ...ილმე. რო- კინს ერთ თვეში მისდის ...ნის რაოდენობა ცა კუროპატკინ... ...დე აიწევს, მაშინ მარშალი 750,000 ... სწორედ იმდენივე ეყოლება. ...გვარ ვითარებაში ომი მამაცლ შემოდგომამდეც კი არ გასწევს, როგორც რუსეთსა ჰგონია, არამედ ორ, სამსა და ხუთ წელიწადსაც, და ისეთისავე შედეგით, როგორც აქამდე ჰქონდა. («ნოვ».).

ახალი ამბავი

წერილები რუსულად აკაკის საიუბილეო ფონდზე. ამას წინად „ნოვ. ობოზ."-ში დაბეჭდილი იყო წერილი ბ-ნ ალექსიძისა აკაკი წერეთლის ავადმყოფობის გამო; ავტორი სრულიად ეთანხმებოდა ქ-ნ ეკატ. გაბაშვილისას და ურჩევდა ქართველ საზოგადოებას «სალიტერატურო ფონდის» დაარსებას; ეხლა ამავე საგანზე «ტფილისის ლისტოკ»-ში ბ-ნი ტერეჩანინი სწერს მეტად გრძნობიერს ფელეტონს და ისიც ურჩევს ქართველობას «სალიტერატურო ფონდის» დაარსებას რომელსაც შეეძლება ყველა დავრდომილ და დაუძლურებულ ქართველ მწერალთა შემწეობის აღმოჩენა.

ქართული წარმოდგენა «კლუბსა» და ვეტცელის თეატრში. ქართულის დრამის ამხანაგობა უკვე მოლაპარაკებია ტფილისის საკრებულოს (კლუბის) მამასახლისებს, კვირაში ერთხელ პარასკეობით კლუბში გაიმართოს ხოლმე ქართული წარმოდგენა. კლუბის ადმინისტრაციას თანხმობა გამოუცხადებია, ხოლო კვირა დღეობით ხალხისათვის ვეტცელის თეატრში გაიმართება იაფ-ფასიანი წარმოდგენები. რეპერტუარი იქნება მომეტებულად ისტორიული და მელოდრამატიული.

მანჯურიას ჯარში გაგზავნილი ქართველი ოფიცრები. გაზ. «კავკაზის» ოფიციალურ განყოფილებაში დაბეჭდილია, რომ კავკასიის კორპუსთან მანჯურიაში გადაყვანილ იქმნენ: შტაბს-კაპიტანი თავ. ჯაჯანაძე, პოდპოლკოვნიკი თავ. ვაჩნაძე, პოდპოლკოვნიკი თავ. ჯორჯაძე, შტაბს-კაპიტანი თავ. თუმანიშვილი, პოდპოლკოვნიკი იოსელიანი, პოდპოლკოვნიკი ნათიშვილი, პოდპორუჩიკი ამაშუკელი და პორუჩიკი სარაჯი.

ქართული სალამო ქ. ჟენევაში. გაზ. „ნოვ. ობოზ."-ს ატყობინებენ ქალ. ჟენევიდან (შვეიცარიაში), რომ იქ ამ თვის პირველ რიცხვებში გაუმართავთ ადგილობრივ ქართველ ახალგაზრდობას პირველი ქართული სალამო, რომელზედაც წარმოუდგენიათ ალ. ყაზბეგის პიესა «არსენა».

ტფილისის ქალაქის მოურავის დამტკიცება. კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს დაუმტკიცებია ქალაქის მოურავად ახლად ამორჩეული კრისტოფორ ვერმიშევი.

ბაქოს ქალაქის მოურავად დაუმტკიცებიათ ბაქოშივე ყოფილი მოურავი ილეცკი.

მოსამართლის კანდიდატი. ქ. ნუხის გამომძიებელი ბ-ნი ჰეჯინაძე, უმაღლესის ბრძანებით, დაინიშნა ტფილისის სამაზრო მოსამართლის თანაშემწედ.

ახალი დანიშვნა. არტილერიის მეხუთე ბატარეის უფროსი პოდპოლკოვნიკი ბ-ნი მუსხელიშვილი დაინიშნა კავკასიის მეორე სამთო არტილერიის ბატალიონის უფროსად, ხოლო პოდპოლკოვნიკი თავ. ვაჩნაძე არტილერიის მეათე ბატარეის უფროსად.

ახალი დანიშვნა. ჯერ ტფილისში სამოქალაქო ბოქაულად და მერე ქუთაისში პოლიციმეისტრად ყოფილი კონსტანტინე სვიმონოვი მთავრობას ბაქოს მაზრის უფროსის თანაშემწედ დაუნიშნავს.

ქ. ფოთის ხულიგნები. როგორც გვატყობინებენ, 17 ნოემბერს აბანოს პატრონის ბ-ნ ხოშტარიას ქალიშვილები და ერთი სტუმარი ქალიშვილიც შესულან საბანაოთ. ეს დაუნახავს «გოროდოვოის», მოუყვანია ორი სხვა კაცი და ძალით მოუნდომებიათ შესვლა ბანაობის დროს. იქვე ყოფილა პატარა მოსამსახურე ბიჭი, რომელსაც ხანჯალი დაადეს გულზედ — არ დაიყვირო-თქო. თვითონ «წესიერების დამცველმა» კი თავისი ხმალი კარის ჯუჯრუტანაში გაუყარა და სადღაც შიგნიდან გადაგდებული სარაზავი აგდო და მიუ შესვლა თავის დამცა შემთხვევით, მაგრამ ერთმა იმ ქალებმა განის ფანჯარას ხელი გაჰკრა, მინა ჩაამსხვრია, გამოჰყო თავი ფანჯარაში და მოჰრთო კივილი; თუმცა, საბანაო ხერხს მოიფურჩინეს, მაგრამ აბანოშიაც მორიგე ქალებმა საშინელი წივილ-კივილი, მაგრამ გარეთ არ გამოდიოდა ხმა. ამ ქალიშვილის კივილი მეზობლებმა გაიგეს, მოცვივდნენ, მაგრამ «გოროდოვოიმ» თავისის ამხანაგებითურთ იქეთ მიდგომა უშველა გაქცევა. როგორც გვეუბნებიან, «გოროდოვოი» დაუპატიმრებიათ, მაგრამ ცოც ურჩევდ სცვას და იმას ტყუილს უფრო დაუჯერებენ, ვინემ ჩვენ მართალს.

სამკურნალო სახნერეში. «ცნობ. ფ.» სწერენ, რომ დამდეგის წლის პირველ იანვრიდან სახნერეში მოქმედებას დაიწყებს ახლად დაარსებული სამკურნალო 12 საწოლით. სამკურნალოს გამგენი არის ექიმი და სამი ფერშალი.

ქართული კალენდარი 1905 წლისათვის. ჩვენ მივიღეთ «ქართ. შორის წერა-კით. საზ.»-ს მიერ გამოცემული კედლის კალენდარი დამდეგის 1905 წლისათვის. კალენდარი შნოიანად არის გამოცემული და შეიცავს მართლ-მადიდებელთა სათვეთ, კათოლიკეთა, სომეხ გრიგორიანთა და მაჰმადიანთა საკალენდრო ცნობებს, აგრეთვე ქართველთათვის საინტერესო ისტორიულ-ბიოგრაფიულ ცნობებს. მეორე გვერდზე მოთავსებულია მრავალი ცნობანი, ბრძანებული თამბულებანი, ლექსები და სხვა. კალენდარი შედარებით იაფია — ღირს ათი შაური.

ტფილისის გოგირდის აბანოების შეფასება. რადგან ქალაქის გამგეობას აზრად აქვს შეიძინოს ყველა გოგირდის აბანოები ტფილისში, ამიტომ ქალაქის დამფასებლებს შეუფასებიათ თვითეული აბანო და აღმოჩენილა, რომ ყველა აბანოების ფასი ერთ მილიონ ოცდაათას მანეთამდე აღწევს, ხოლო ცალკეთ მირზოევთა აბანო 251,000 მ., ბებუთაანთი—195,000 მ., ორბელიანთი 172,000 მ., გრუზინსკისეული—136,000 მ., ზუბალოვისა—93,000 მ. მანთაშევისა 87,000 მ., სუმბათაშვილებისა 70,000 მ., მირზოევის მემკვიდრეთა 47,000 მ., ჩიტახოვისა 10,000 მ. თუმაშვილისა 7,000 მ.

ახალი გამომცემელი ამხანაგობა «სხივი». ამ წ. ლის ივნისის ქ. ტფილისში დაარსდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა «სხივი», რომელსაც საგნად აქვს ბეჭდოს ქართული სახალხო და საყმაწვილო წიგნები მეცნიერების ყველა დარგისა და სიტყვიერებისა.

ამხანაგობა დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალ 1905 წლის თებერვლიდან.

ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა ამოირჩიეს დროებითი სარედაქციო კომისია, რომელსაც დაავალეს მოამზადოს მასალა გამოსაცემად. ამხანაგობას ჯერ-ჯერობით აზრად აქვს გამოსცეს შემდეგის დარგის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი: საქმიანი, სამეურნეო, ისტორიული და ბელეტრისტიკული.

ხსენებული დროებითი რედაქცია სთხოვს ბ-ნთ ავტორებს, მოაწოდონ თავიანთი თხზულებანი გასასინჯად და გამოსაცემად.

რედაქცია სთხოვს ავტორებს ნაწარმოებთან ერთად აცნობოს მას წერილით: რა პირობით სურთ დაუთმონ ამხანაგობას თავიანთი თხზულებანი.

ნაწარმოების გაგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: ალექსანდრე ივანეს ძეს სირაძეს (ქ. ტფილისი, იზმაილოვის ქ. № 44), ანუ ალექსანდრე გრიგოლის ძეს სიხარულიძეს (ქ. ტფილისი, გოლოვინის პროსპ. № 12).

საქართველო

კახეთი. საქონლის ჭირი. მართალია, ცხოვრების უმთავრესს დარგს კახელებისთვის მევენახეობა შეადგენს, მაგრამ ხვნა-თესვასაც ყველა სოფელში მისდევენ. ბევრი იმდენი მოჰყავთ, რამდენიც ეყოფათ მეორე წლამდე, ან სწორედ რომ ვსთქვათ, ფუტ-ფუმოლუცული მიწა მეტად არ აგვიღდომდებს მხვნელს. ამის გარდა, მცხოვრებნი საქონლის მოშენებასაც მისდევენ, რამდენადაც ხელს უწყობს ადგილობრივი პირობები. საქონელი გლეხი კაცის მარჯვენა ხელია, ურომლისოდ არ ვარგა, იმით ასაზრდოებს მთელ ოჯახს—ხნავს, თესავს, ჰლეწავს, მოაქვს შეშა, ჭიგო, ფიჩხი, სალოცავში დაატარებს, ქორწილში დაიჯეს და სხვა. საუბედუროდ, ამ ბოლო დროს როგორც ვენახმა და მიწამ, ამანაც უმტყუნა და ლამის არის გადაშენების გზაზე დააყენოს. ამის მიზეზია საქონლის ჭირი, რომელმაც დიდ სოფლებში საოცრად დღეს გლეხ-კაცი, რომლის არა ყოფილა ჭირი: დიდ, ყოფილა, მაგრამ მოურიდებლად, სხვაგან წასვლაში და ამნაირად გადაურჩენიათ. ეხლა კი... საქონლის ჭირი ახალი არ არის კახელებისათვის, ამ ორმოცი წლის წინეთაც ისე იყო გავრცელებული, რომ თითქმის ყველა სოფელი მოიარა. მაგრამ, როგორც იყო, მოისპო და საქონლის პატრონმა თავისუფლად ამოისუნთქა, თუმცა ეს თავისუფლება დიდხანს არ შერჩენია.

ამ ჟამად თელავიდან ზემო სოფლებში რომ წახვიდეთ, თითქმის ყველა სოფელში დაინახავთ ყარაულები და ნიშნები, რომელნიც აუწყებენ, რომ ამ სოფლებში საქონლის ჭირია. ეს გლეხი-კაცის დამღუპავი ჯერ ერთ სოფელში—ოკამში გაჩნდა, მერე საჩქაროდ აიარა და თითქმის ყველა სოფელი იარისა და რუისპირის საზოგადოებისა ხელში ჩაიგდო, მერე რამდენ ზარალს აძლევს, როგორია სცარავს საქმიდან და მუშაობას უკან აყენებს, კარგი მუყოფაც ვერ არ გამოამეტებს, მინდორში ვერ წასულა, შეშა ვერ მოუტანია, ქირაზე ვეღარ დადის, რადგანაც სასტიკ ზედამხედველობის ქვეშა. კარანტინს სასტიკად ასრულებენ, ჭირიანი საქონელი არსად წავიდეს და არ გადაიტანოს სენი, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ჭირი ვერ აიდგა და ლამის არის მთელი კახეთი შემოიაროს. იმას გარდა, რომ საქონლის მხრივ ზარალობს პატრონი, სოფელსაც ხარჯი აწვება კისერზე. ბეითლებს, რომელნიც ჭირის მოსასპობად იგზავნება, სახლი, შეშა, ნავთი, მოსამსახურე უნდა მისცენ, ყოველ დღე უნდა გამოიყვანონ რამდენიმე კაცი გზებზე ყარაულებად, ბეითალთა მოხელეებთან სამუშაოდ: ხარობის გასამასპინძლად დახოცილ საქონლისათვის, საქონლის დასახოცად და ისე მუშაობა. ამიდენა ხარჯი სოფელს ნაიოიგრად აქვეითებს და თავის ქალს ასვამს. კიდევ კარგი, თუ ჭირმა სხვაგან აღარსად აიმჰყო თავი, მაგრამ ახლო გაღმა მხრის ერთ სოფელში გაჩენილა, ისე რომ, როგორც ეტყობა, მალე არ აპირობს თავის დანებებას.

მიდა-გახელა.

მცირე რამ ჩემის მოგზაურობიდან.

ბევრს საინტერესოს ნახავს კაცი საქართველოში მოგზაურობით, ბევრს საგულისხმოს გაიგონებს ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაინტერესებს სამშობლოს გაცნობა, ხალხთან დაახლოება, ერის სულის კვეთა და მაჯის ცემა. ჩვენ უფრო ვეტანებით უცხოელს და ხშირად მეტს ვიცით ყირგიზ-სამოედებზე, ვინემ რომელიმე ქართველი თემის შესახებ. რას ამტკიცებს ეს, თუ არ ჩვენს უმეცრებას და სულით დაცემას?!.. ამ დღეებში შემთხვევით გახლდით ს. ტყიბულში (იმერეთში). ვისთანაც მივედი, ყველგან გაშლილი სუფრა და ქართული გულუხვობა გვეგებებოდა. ამასთან ერთად, სამეგრელო, შევამჩნიე გატეხილობაც. ჩანს, სოფელი გაღვიძებულა, სოფელს გაუხელია თვალი, სოფელი გატაცებით ისმენს შორეულ ამონასვლეს ის ამბებს, ისმენს და რაღაც საამო გრძნობებით ივსება მისი გული...

მაგრამ სრულიადაც არ მსურს აქ ამ საგანზედ საუბარი, ეს სხვა დროს იყოს. აქ მწადია მკითხველის გულის ყური მივაპყრო ერთს ტყიბულელ მოხუცზედ: ეს გახლავთ აზნაური ივანე ოტიას ძე გორგოლაძე. თუმცა იგი 80 წლისაა, მაგრამ ისე მხნეა, რომ კაცი 50 წლის მეტს ვერ მისცემს. ამ 80 წლის მოხუცმა ნამდვილი სიამოვნება გვაგრძნობინა თავის შაირებით მოლხენით, სიმღერებით და ლექსებით. იგია ხალხის მგოსანი. სხვათა-შორის მან გამოუთქვამს ლექსი ჩვენს სათავად-აზნაურო ბანკზედ. ვფიქრობ, არ იქნეს მეტი ამ ლექსის აქ მოყვანა.

ს. ქვარიანი.

***

განათლებას ჭკუა კი სჯობს,
ვისაც რომ კი აქვს თავშია...
— სად არის ჩვენი დიდება
რომ გადავყარეთ ხრამშიო?!.
რაც რამე გვაქ, ისიც მივაქ
იმ დასაღუპავ ბანკშიო,
დავბრუნდებით და წამოვალთ
გულ შემოკრილი სახლშიო.
ღმერთმა ჰკითხოს, ჩვენი საქმე
ვინც რომ თავში არჩია!
შეგვაწუხა ერთმა ბანკმა
მოგვიჭირა ქანჩიო.
შინ ცოლ-შვილი გვეხოცება,
მუდამ არის დარდშიო;
— ყმაწვილიც აღარ გახლავარ,
შესული ვარ ხანშიო.
იმე, რა ვქენით, რა ვქენით,
რა დავეცემართა ესო.
მამა-პაპისსოულობა
ყველა დავკარგეთ დღესაო.
ვინ გამოგვიწყობს ამ საქმეს,
ვინ გაგვიმართავს ხელსაო?
— დავდივართ, ვშრომობთ, ვცოდვილობთ,
აღარ გვაცვია ფეხსაო..
ყოველი კაცის დიდებას
ბანკმა მოხვია ხელიო;
იქით მივაქ, აქეთ არა,
იმან მომწყვიტა წელიო.
რავა დაელუპე ოჯახი,
მასთან ცოლ შვილი ჩემიო!
— ძვირფასო ჭკუავ კაცისთვის,
ჩვენზედ აიღე ხელიო?!
ვაი დედაო, დედაო.
ბანკში მივდივართ ყველაო,
თუ კიდო რამე ღონე გვაქვს,
იქინა შეგვაქ ყველაო.
ღმერთმან იცის, გვეკარგება
ცოდვა დავრჩებით ყველაო;
— ჩვენ მგზავს კაცს ჩვენვე ვეუტრებით
რა გლახათ, საწყლათ რჩებაო.
რუსული ციფრი არ იცი.
ბანკში მიგაქ მამულიო,
ნოსტოიკა და პროცენტი
შენ გგონია თათრულიო;
ის არის, რომ მამულს გვართმევს,
თავერობისგან დათქმულიო;
თავნი ფული ბანკში დავვაქ
ერთანეშში ჩართულიო.
ჩემო მამულო, დიდებავ,
ჩემო ოჯახო ბეჩაო,
ველარფერით დაგიხსენი,
აღარაფერი შემრჩაო;
ქვეშაგებელიც გავყიდე,
აღარ მიგია ქენაო,
რავა უქეყუთ დაგკარგე,
გამკეთებელ ბანკს შერჩაო...

ივანე გორგოლაძე.

ფელეტონი

საერთო მწუხარება
და
კულაშის სამეურნეო საზოგადოება.

„ნადი"

დიდი მოთხოვნილება და გაჭირვება გამომეხნზლებელია ადამიანისა, დამბადებელია შრომისა და ბედნიერია ის, რომელიც მოთმენით იტანს ამ დროებითს გაჭირვებას და ხელს მოჰკიდებს პატიოსანს შრომას. დღეს ქუთაისის გუბერნია და განსაკუთრებით ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის და ქუთაისის მაზრები მწარე გაჭირვებაშია, თავად-აზნაურობა კი განსხვავებულად არის დასჯილი. ჩვენის უვიცობისა გამო დიდებულად შემკული ბუნება ნელ-ნელა ღალატობს ჩვენს ხალხს და მოუცილებელ საზრდოს უსპობს, დღეს ყველგან საერთო შიმშილია და მისი სიმწარე აუტანელი შეიქნა ბევრისათვის, ზოგი თავს იკლავს, ზოგი სხვისა ჰკლავს, ავაზაკობა და ქურდობა თანდათან ვრცელდება.

ერთად ერთი მასაზრდოებელი დასავლეთ საქართველოისა სიმინდი აგვისტო-სეკტემბერში მამასისხლით იყიდებოდა. აბა, ვინ მოსწრებია მანეთად და მანეთ ნახევრად ფუთ სიმინდის და ღომის?! გაყიდეს?! რადგანაც სიმინდი არ ჰყოფნიათ, იტაცებენ გამომცხვარ ფურნის პურს, მოაქვთ პურის ფქვილი და სანახევროდ ცომ-პურით იკვებებიან და ავად ხდებიან.

ქუმერთათ ჩემო, რა შავ დღეს მოვესწარით. გაიძახიან მოხუცებულები. აბა, შვილებო, შეხედეთ, თუ შეგიძლიათ,—უყურეთ ჯვარ-დაწერილი მამები შიმშილით შეწუხებულ ბალღებს,—«ვენაცვალოთ თქვენი დამწვარ-დადაგული დედა, დალეჭეთ ეს დასაღრღნი ძვლები და გული, ვაი თქვენს დედას, შავ დღის დაბადებულებს!» და სხვა. არ რას ვაიგონებთ ახლა ჩვენში, ჩვენს დიდებულ საქართველოში, რომლის მიწა-წყლით შეიძლება ოთხი მეტი ინახოს სამჯერ მეტ რიცხოვანმა ერმა.

ბევრჯერ მოუხსენებია გაზეთ «მეურნეობაში» და გამოურთხილებია მეურნეები ოვერიოშიაც, რომ დრო იქნება, როდესაც ჩვენი დედა-მიწა საკმაოდაც არ დაგვიბრუნებს შეთქი. ეს დრო უკვე დგება და უთუოდ უნდა მომავლისაც უნდა მოვემზადოთ; ეს საზოგადო მოვლენა გახლავს იქ, სადაც მეურნეობა ერთად ერთი წყარო არის ერის ცხოვრებისა მდგომარეობისა და სადაც მუდამ ადამის წესით აწარმოებენ საქმეს.

სრული ოინიბა ვარ იმ საზოგადო აზრისა, რომ ჩვენს მამა-პაპას აყორყებული პურ-ღვინო პირიდოტა იმავე კავშირისა და თოხის შემწეობით, რაც დღეს გვაქვს, მაგრამ ის დრო წავიდა, წავიდა სამუდამოდ. მაშინ მიწა მეტი გვქონდა, მოთხოვნილება კი სულ ცოტა და ხალხიც ნაკლები გახლდათ დღეს რიცხვით მეტნი ვართ, მიწა კი თან და თან ლეიბულობს თითოეულისათვის. მოთხოვნილება კი თან და თან მატულობს და მათი დაკმაყოფილება აუცილებელია; მათი დაკმაყოფილება კი ძველი დროებით მეურნეობა და, მამასადამე, ყოველი ჩვენი მეცადინეობა მის წარმატებაზე უნდა იქმნას მიმართული. პრაქტიკამ გვასწავლა და მომავალიც დაგვარწმუნებს, რომ ჩვენის ქვეყნის ბედი ვაიცი და სამარცხვინო კავი და ფარცხით, ხელით სათესი მუშაობის საქონელი ჩვენს მეურნეობას ვერასოდეს ვერ დააყენებს თავის ნიადაგზედ, რომ მისმა შემოსავალმა დააკმაყოფილოს თანამედროვე კულტურული მოთხოვნილება—პირადი, საზოგადო და სახელმწიფო; მოთხოვნილება უთუოდ თან და თან იმატებს, რადგანაც პროგრესის გზაზედ ვდგევართ.

გასაუმჯობესებლად ჩვენის მდგომარეობისა მეურნეობის წარმატებით ერთი საშუალება-და— შეერთება ჩვენის ძალ-ღონისა, ფულისა, და შეერთებულის ფაქტორებით ბრძოლა მეურნეობის დამაქვეითებელ მიზეზებთან—ე. ი. შედგენა კოოპერატიულ სამეურნეო საზოგადოებისა—რომლის აზრია – გაუმჯობესობა წევრთა მეურნეობისა, გავრცელება სამეურნეო სწავლა-განათლებისა, ამ ნაირ საზოგადოებას, დაწესებულებას მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდების ძალით, ადვილად შეუძლია შეუმჩნევლად წასწიოს წინ ეკონომიური მდგომარეობა თავისთა წევრთა, მთელის ერისა. ამნაირ საზოგადოებას უფრო ადვილად შეუძლია თავის ქონებით და, უპირველესად ყოვლისა, შეიარაღებულს საზოგადო ნდობით, სულ ადვილად შეიძინოს მიუცილებელი საჭირო გაუმჯობესებული, ევროპიული, სამეურნეო იარაღი, თესლეულობა, მცენარეები, საქონელი, ფული და ყოველნაირი უძრავი და მოძრავი ქონება. ამისთანა საზოგადოებას აქვს ნება იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე და სთხოვოს ამა თუ იმნაირი შემწეობა, აქვს ნება დაიარსოს სასწავლებელი, გამართოს ბიბლიოთეკა, გამოსცეს წიგნები და სხვა და სხვა. ამნაირ საზოგადოებათ დიდი უპირატესობა აქვს დამსახურებული საზღვარგარეთ და იქ, ზოგიერთ სახელმწიფოებში რამდენიმე ასი და ათასი კოოპერატიული საზოგადოება მოქმედებს წევრთა ინტერესების დასაცველად, წარმოების ამა თუ იმ დარგის გასაძლიერებლად.

ღვთის შეწევნით, ჩვენშიაც დაიწყო ქვეყანამ გამოღვიძება და დაებადა სურვილი წაბაძოს ამ მხრივ განათლებულ ერს. მან იგრძნო თავის მხსნელად მეურნეობა და მის წინმსვლელობისთვის დაარსება სამეურნეო საზოგადოებისა. ჩვენი საზოგადოება დღეს ზიზღით უყურებს უსაქმურობას, ჰგრძნობს, რომ პატიოსანი მუშაობა ხვედრია ყველა განვითარებულ და წარჩინებულ საზოგადოების წევრისა.

ვინ მოიფიქრა, ვინ სთქვა და ვინ იკისრა პრაქტიკულად განხორციელება ამ იდეისა?

რასაკვირველია, იმან, ვისგანაც ეს ჯერ იყო, ვინც ზნეობრივ მოვალე იყო ამ საქმესაც გაძღოლოდა ისე, როგორც უძღოდა თავის უმცროს ძმას—ხალხს,

სვანეთის ორის კვირით *).

(შემდეგი)

ამ ოჯახშივე დაცულია ძველი დიდი ხის სკივრი, მშვენიერი ჩუქურთმებით აჭრელებული ყველა მხრივ. უწინდელი ძვირფასი იარაღი ხომ მრავლად არის და საოცრად ინახავენ.

დადეშქელიანთა საგვარეულო სასაფლაო მთავარ-ანგელოზის საყდარი ს. ფხოტერში. იგი თლილის ქვისაგან არის აშენებული, დასავლეთით და სამხრეთით მიდგმული აქვს მშვენიერი ეკვდერი, უძველესი ჩუქურთმით. თვით საყდრის კარი ერთხლისაა და ზედ დიდის ხელოვნებით ამოჭრილია წმ. მოციქულთა სახეები, როგორც ჩოლურში და ცაგერში. აქ ეკვდერში ვნახეთ მშვენიერი ბეჭი. აქვე ძევს გრძელი ზარი ლათინურის წარწერით „Nicolaus“.

საყდარი შიგნით მთლად მოხატულია, მაგრამ შეჭვარტლილია ბოლისაგან. აქ ტაძრის მთავარ-ანგელოზის, ოქროში დაფერილს ვერცხლის ხატის (სიგრძე სიგანით 50+35 სანტიმეტ.) ზურგზედ მხედრულის ასოებით აწერია: № ქ. ესე ხატი [illegible]

[illegible]

ალექსანდრის მეფისაგან აშენებული; გაუსივეთ ლაშქარი გაღმა ქუთაის ქალაქს, დავსწვით და გავაოხრეთ, მრავალი ამოვწყვიტე და წამოვედით გამარჯვებული. მოვედით ოდიში ძიგურს და ერთი კვირე არ გამოსულა, ასეე ჭქნით იდლრა (?) ჯხნის წელს შემოვიდეთ, ის დამე ვაარეთ და გათენების დროს დავესხით სასახლესა და ქალაქს, უწინდისაგან ოთხი და ხუთი ზამს საშვარი ალაფი და ტყვეები ვიშოვეთ, რომ ლაშქარი ძლივ დაერივ და წამოვედით გამარჯვებული. შევასვენეთ ლაშქარი და ცხენი და კიდევ გაუვლაშქრნით იმერეთზე თვისი თებერვალსა და მოვედით... ერთს ადამეულს, დავსწვით და ავაოხრეთ, მოვედით ჩხარის ქალაქს და იქ დავდექით და სოფლები და ნაშენი... რუსი დასწვეს და აოხრეს საქონელი და მისს სასახლეს დავდევით, დავსწვით ვარდის კარს და ჩიხორის ქალაქი და სხვა... [illegible]

[illegible]

(=1646 წ.)

[illegible]

ორგი III, რომელსა ამამამან... დიმიტრი მეფემან სიცოცხლესავე თჳსსა მოჰგვარა (1155 წ.) ცოლი, ასული თჳსთა მეფისა სუდანისა, სახელით ბურდუხან, რომელი ჰმატდა სიკეთითა ყოველთა დედათა. მისებრ სხუა არა უხილავს ქართლისა თემსა... უფროს შვენიერება და ხორციელი სიტურფე გარდამატებულად ახლდებოდა მის შორისა. [2]) ბურდუხანი † 1169 წ. ახლო ხანებში და თამარის აღზრდა თავს იდო მისმა მამიდამ რუსუდან დედოფალმა.

ბურდუხანისგან შეწირული პატარა ოქროს ღვთისმშობლის ნაწილებიანი ხატი ხობის მონასტერშია დაცული [3])

ნათლის ღების ვერცხლის ხატზედ აწერია: № 125. «ქ. ესე დაუსაბამო, მაცხოვარო ღმერთო, ცისა და ქვეყანისა დამწყებელ დამასრულებელო, მაცხოვარო წმიდისა წყლისა! ჩვენ ცვა ფარვითა შენითა მონადობილმან საწმიდისა შენისამან დადიანმან ლეონ დავასვენეთ ჯერს ჩვენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად და სახიდ სული ჩვენისათვის. ამინ». ლევანი იგივე დადიანია, იხ. ზევით.

შემდეგ არშიაზედ: № 126 «ქ. მაცხოვარო, შეეწიე თრსავე ურფას ფრიად ცოდვილს ოქრომჭედელს ბექან წიქრის ძესა».

დიდს მაცხოვრის ხატის დაბლა არშიაზედ იმავე ხუცურით სო მთავრულით აწერია: № 127. «ქ. არსო თჳთებით მეოფობისათვის ღმერთო, სჯულთა შენთა მტკიცედ მპყრობელისა მეფეთ მეფისა დიმიტრისა ასულისა, მეფისა და მეფეთა მზისა გიორგის დისა, სულთანთა სძლისა რუსუდან დედოფლისა სამსახურებლად შენდა შემზადებულნი ნავთნი ვინათგან ჟამმან არ დასცნა სრულებად, ჩემ გაზრდილისა მათისა და ღმრთით მგონებელის გიორგის (?) ასულისა დედოფლისა რუსუდანისაგან მზაქმნილნი. მიითუალენ მეოხმან მათმან მკჳდრეთად სუფევისა». აქ მოხსენებული რუსუდან დედოფალი არის იგივე აღზრდილი წმ. თამარ მეფისა, დიდად სახელოვანი დედაკაცი. [4])

მღ. პ. კარბელაშვილი

(შემდეგი იქნება)

რუსეთი

— ლიტერატორი მიაკოტინი, რომელიც ახ განსვენებულ შინაგან საქმეთა მინისტრის ფონ-პლევეს განკარგულებით სამის წლით გაგზავნილი იყო ქალ. ველიდაში, ამ ჟამად, თანახმად სამინისტროს [illegible]

[illegible]

— დვინსკში მომხდარი უწესოება. [illegible]

[illegible]

საჯაროდ მოახდინა უწესოება შუაგულ ბაზარში. უწესოებაში მონაწილეობას იღებდნენ ქალები და მცირეწლოვანი ბავშვებიც კი, რომელნიც ქვებს უშენდნენ მაღაზიებს და ნადღვლი ტომრებში ინახავდნენ. მალე პოლიცია ჩაერია საქმეში, მაგრამ ბრბო მაინც თავისას არ იშლიდა და გაემართა «ტოლკუჩის» მოედნისაკენ, სადაც მრავალი ტყავისა და ფეხსაცმელების მაღაზიებია ჩამწკრივებული და მცირე ხანიც კი საკმარისი იყო, რომ იქაურობა სულ ერთიან გაეძარცვ-გაენადგურებინა. ერთის ტყავით მოვაჭრეს მუხინს, საქონლის გარდა, 400 მანეთი ფულიც წაართვეს. ამ დროს ყაზახთა და ქვეითა პოლკის ჯარის კაცებიც გამოჩნდნენ და დაერივნენ მეამბოხეთ. საათის ოთხზე დივიზიის უფროსი გენერალი მოვიდა და მიღებულ ღონისძიებით მალე გაფანტა უწესოების ჩამდენნი, ერთს უნტერ-ოფიცერს, რომელიც ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობას იღებდა, გენერალმა აჰგლიჯა პაგონები. ქალაქში თითქმის ყველა მაღაზიები და აგრეთვე ხაზინის არყის მაღაზია დაკეტილია და ჯარის კაცები იცავენ. ქუჩებში დადიან მორიგეებად ცხენოსანი ჯარის კაცნი და მყუდროებას იცავენ. თვითოეულ პოლკში დღე და ღამის განმავლობაში ერთი როტა მორიგეობს და შეიარაღებული მზად არის მოქმედება დაიწყოს, თუ ვინიცობაა უწესოება კვლავ განმეორდა. 7 ნოემბერს ისევ მოხდა უწესოება, მაგრამ მეამბოხენი მალე გაჰფანტეს, ბევრი დაიჭირეს და დააპატიმრეს. უკანასკნელად მომხდარ უწესოების დროს არავინ არ დაუჭერიათ. ბრბო მეყასბევსაც დასცემიან ასაკლებად, მაგრამ ამ უკანასკნელთ ნაჯახი აუღიათ ხელში და ისე დახვედრიან დაუპატიჟებელ სტუმრებს.

წერილი

რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თუ ვისმე სურს გამოსცეს ჩემი წერილი «ხოლერა» ცალკე წიგნაკად, წინააღმდეგი არა ვარ, მხოლოდ ვსთხოვ, საკორექტუროდ მე გამომიგზავნოს. ამასვე ვსთხოვ ბ-ნ ილია ფოფხაძესაც, რომელსაც ნება დავრთე გამოსცეს «ჭლექთან ბრძოლა». ჩემი ადრესი: სოფელი თიანეთი. მაზრის ექიმს ვასილ გიორგის ძეს წერეთელს.

ვასილ წერეთელი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები

20 ნოემბერი.

პეტერბურგი. უქვე შევრდომილესი დეპეშა გენ. ად. კუროპატკინისა 19 ნოემბრის თარიღით: 17 ნოემბერს ღამე 2 როტა წავიდა მტრის დასაზვერავად შტაბსკაპიტანის მანკოვსკის უფროსობით, რომ- [illegible]

[illegible]

ბი უკან გამობრუნდნენ. მამაცი შტაბსკაპიტანი მოკლულ იქმნა. სულ-კი რამდენიმე დღის წინად მიიღო ჯილდო—წმ. ვლადიმირის ორდენი მე-4 ხარისხისა. დაიჭრა ხუთი ჯარის კაცი. 19 ნოემბერს ბრძოლა არა ყოფილა.

დეპეშა გენ.-ლეიტ. სახაროვისა უმთავრეს შტაბს. «17 ნოემბერს ჩვენი თავ-გამოდებული პორუჩიკ ვედეცკის უფროსობით წავიდნენ მტრის დასაზვერად სოფ. ტუჩგოსკენ, სადაც იაპონელთა სიმაგრეა. გზაში 30 იაპონელი შეხვდათ და ყველანი ამოჰხოცეს. შემდეგ თავ-გამოდებულნი წააწყდნენ სანგარსა და მავთულის ღობეს. სანგარი და ღობე გადალახეს, მაგრამ ახლა ნაღმს წააწყდნენ. ნაღმმა იფეთქა, მერე 20 კაცი ეცა იაპონიის თხრილებს და დასჩეხეს 20-მდე იაპონელნი. იაპონელნი მიეშველნენ თავისიანებს, შემოუტიეს ჩვენებს და ესროდნენ ხელით ყუმბარებსა. ჩვენები დაბრუნდნენ და თან წამოიყვანეს ყველა 14 დაჭრილი და წამოასვენეს აგრეთვე 5 მოკლული. თან მოიტანეს რამდენიმე თოფი იაპონელებისა და საომარი იარაღი.

მუკდენი. 20 ნოემ. (საკ. კორეს.). როგორც ხმა ისმის, ღამე დონის პოლკის ჯარის კაცებმა აიღეს იაპონელთა ბატარეიაო.

ტოკიო, 20 ნოემბ. (რეიტ.) გუშინ მივიდნენ იაპონელთა მარცხენა ფრთიდან პარლამენტიორები და ითხოვეს ზავი დილის 10 საათიდგან 4 საათამდე დაჭრილთა წასაყვანად და მოკლულთა დასამარხად.

ჯიბუტი. ესკადრა ფელკერზამისა მოვიდა აქ და გარე რეიდზეა გაჩერებული.

კოლომბო, 20 ნოემბ. (რეიტ) გამოცხადებულია, რომ აღკრძალულ იქმნა მთავრობის ნება-დაურთველად მიეცეს რომელსამე გემს ქვა-ნახშირი.

21 ნოემბერი.

ჰელსინგფორსი, სეიმის წესდების ძალით, სეიმის კრებაზედ დასწრება არა მარტო უფლებაა, არამედ მოვალეობაცაა იმათი, ვინც არჩეულია სეიმის წევრად. ამიტომ უმაღლესად ნებადართულ იქმნა დაბრუნდნენ ფინლიანდიაში და დაესწრონ სეიმის კრებას ისინი, ვინც ფინლიანდიიდგან გაგზავნილია და დეპუტატად კი არჩეული. ისეთები არიან: მეხელინი, ბარონი, ბრონი ესტლანდერი, კარისტიერსონი, ლუნდენიუსი და ფელმანი.

მოსკოვი: 200-მდე ნაფიცი ვექილნი შეიკრიბნენ. ბევრი სიტყვა წარმოითქვა სამოსამართლო დაწესებულებათა შემოღების 40 წლის შესრულების გამო. ორატორები ამბობდნენ, რომ რეფორმები ეჭირება დღევანდელს ჩვენს სასამართლოებსაო.

ტოკიო, 19 ნოემბ. (რეიტ.) პარლამენტს წარედგინა ბიუჯეტი 1905 წლისათვის.—ხარჯი ნავარაუდევია 1 მილიარდი იენი. აქედან 780 მილიონი სამხედრო ხარჯად არის აღრიცხული. ფინანსთა მინისტრმა სთქვა, რომ მერმის [illegible]

[illegible]

[illegible]

ნ. მეუნარგია.

რე ერევნის გუბერნიაში. ბაქოსა და ბაქოს გუბერნიაში ახლად ავად გახდა 53 კაცი, განჯის გუბერნიაში — 32, ტფილისში — 4, სამარის გუბერნიაშიაც შესამჩნევად მოიმატა იყენენ ავადმყოფნი. სარატოვის გუბერნიაში 40 გახდა ავად. ასტრახანში ახლად გახდა ავათ 6 კაცი, ხოლერა გაჩნდა იმიერ-კასპიის მხარეშიც. აგრეთვე ტაშკენტსა და მის მიდამოთა შორის.

მოსკოვი. მოვიდა საგანგებო ელჩი მირზა რიზა-ხანი ამალით.

მადრიდი. 21 ნოემბერი (ჰავასი). მთავრობა უარ ჰყოფს იმ ცნობას, ვითომც იაპონიის პროტესტი განეცხადებინოს იმაზედ, რომ ბალტიის ესკადრა ვიგოს შევიდაო.

ბელგრადი. (კორ. ბიურო). ოფიციალური გაზეთში გამოცხადებულია მეფის ბრძანება, რომლითაც შეწყნარებულია გრუიჩის სამინისტროს სამსახურიდგან გადადგომა და მინდობილი აქვს გრუიჩს დროებით საქმეთა გამგეობა.

პეტერბურგი. «პრავ. ვესტ.»-ში გამოქვეყნებულია რესკრიპტი მიწად მოქმედების სამინისტროს საბჭოს წევრის სტებუტის სახელზედ, რადგანაც 50 წელიწადი შეუსრულდა მას აქეთ, რაც ის მოღვაწეობს.

სოფია, 21 ნოემბ. ცხარე კამათი გამოიწვია კანონმა სოფლის საზოგადოებათა შესახებმა და გზის ბაჟის გადახდისამ. მინისტრი პეტროვი დაემუქრა დეპუტატებს, სამსახურიდან გადავდგებიო, მორჩილმა უმეტესობამ შეიწყნარა კანონები. ვერაფერი სასიამოვნოა მთავრის სიტყვა, რომელიც უთხრა დეპუტაციას, როცა პასუხი მიართვეს სეფე-სიტყვისა. ეს სიტყვა ქებაა სტამბულოვის აზრებით გამსჭვალულ სამინისტროსი. ჰფიქრობენ, რომ თვით მინისტრებს უკარნახებიათ მთავრისთვის მაგ სიტყვის დაწერის დროსაო.

პეტერბურგი. ოფიციალური დეპეშა გენ.-ლეიტ. სახაროვისა უმთავრეს შტაბს 21 ნოემბ. თარიღით: «20 ნოემბერს ღამე იაპონელ თავგამოდებულთა რაზმი სცდილობდა აეშალა მაჟთულის ლობე სოფელ ლინშინპუს ახლოს, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნა. შეიპყარით ერთი დაჭრილი იაპონელი. 21-ს ბრძოლა არა ყოფილა-რა.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ად. კუროპატკინისა მისს უდიდებულესობის სახელობაზე 20 ნოემბრის თარიღით: «დაპინდ-შანამდე მივიდნენ მტერთა რაზმნი, მაგრამ მტერი ვერსად ჰნახეს. მარცხენა ფრთაზე ერთგან იპოვეს 20 მოკლული გვამი იაპონელთა, რომელნიც ალბათ აქაურმა მცხოვრებლებმა გასძარცვეს. 19 ნოემბერს 2 როტა იაპონელთა დაეცა სოფ. უტიაზის. მტერი თოფის სროლით იქმნა უკუ-ქცეული. 2 მოვკლეთ, 4 კაცი დავჭრეს. ჩვენის ბანაკის წინ ბევრი მოკლული და დაჭრილი იაპონელები არიან, მაგრამ იაპონელნი არ გვაძლევენ ნებას მოვკრიფოთ, რადგან თოფს ისვრიან, თუ ახლო მივედით. 15 ნოემბერს მოვიდნენ ჯარის კაცნი იშენკო და ხარზამატოვი, დატყვევნი ღამე მოტანილ იერიშის დროს 3 ოქტომბერს და თხრილებში დარჩენილნი. ხარზამატოვი მსუბუქად იყო დაჭრილი, მკვდრების ჩანთებში პოულობდა პურსა და საკვებს და იმით იკვებებოდა თითონაც და ჰკვებავდა ამხანაგსაც 45 დღის განმავლობაში, 20 ნოემბერს ბრძოლა არ ყოფილა. ყოველსავე ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობას.»

სალამოს დეპეშები

22 ნოემბერი.

ტანჟერი, 21 ნოემბ. (რეიტ.) კრეისერი «რიონი» ტარის ნავსადგურით ალჟირს გაემართა. მოვიდა ორი რუსთა კრეისერი «ორიოლი» და «ტუნგუზი» და ტრანსპორტი «ოკეანი». აგრეთვე «ოლეგი» და «იზუმრუდი».

ბრისტი, 21 ნოემბ. (რეიტ). ნაღმოსანი «პრონზიტელნი» მოემზადა და წავიდა ნაშუადღევის სამს საათზედ.

ჩიფუ, 20 ნოემბ. (რეიტ). თუ როგორ უმზადებიან იაპონელნი ბალტიის ესკადრის დასახვედრად, ესა სჩანს საფრანგეთის გემის «პინტუანის» აფიცრების ნაამბობიდან. ეს გემი იაპონიიდან წამოსულა 17 ნოემბერს. შანდუნის კონცხიდან 40 მილის მანძილზედ სამხრეთისაკენ ამ გემს უნახავს გემი «აზახი». შეკეთებული სასეპოში უნახავს ჯავშნიანი გემი «მიკაზა» სულ კეწ-კეწი, ისე რომ გაფხაჩნილიც კი არ სად-რა ჰქონია. გემების შეკეთების საქმე საიდუმლოებით არის მოცული. ამბობენ, რომ ნაღმოსანთა ფლოტილია აგვისტოდანვე კარგს მდგომარეობაშია და იმყოფება სასებოსა და დალნიშია.

ტოკიო. (რეიტ.). გაზეთ «ასახის» კორესპონდენტი, რომელიც ნიუჩუანშია, იუწყება, რომ რუსთა მაშველი ჯარი, 50 ათას კაცამდე, გირინს მოვიდაო. რუსებმა თელინიდან შახესკენ გაჰგზავნეს 15 მძიმე ზარბაზანი. რუსეთიდან მოსული 20 ათასი კაცი შიულინის მხრიდან ეტევება მტერს.

შანჰაი. (რეიტ.). რუსეთის მთავრობას განზრახვა აქვს დაარსოს შანჰაის საწყობნი სურსათისა თვისის ჯარებისა და ფლოტისათვის. აქაური გერმანელს ყასაბს შეუკვეთეს რუსებმა რამდენიმე მილიონი გირვანქა ხორცი. ასეთი დარღვევა შანჰაის ნეიტრალიტეტისა დიდს აღშფოთებას იწვევს. იაპონიის კონსული თხოულობს, რომ ჩინეთის მთავრობამ რუსთა მეზღვაურთ ჩააგონოს მორჩილებით იქცეოდნენ.

ლონდონი. 21 ნოემბ. (რეიტ.). კარდიფში ბრძანება მიიღეს გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან, არ მისცეთ ნება გერმანელების გემმა «ვაპიტანმა» მონცელ»-მა ნახშირი დაიტვირთოსო რადგანაც ხმა ისმის, ეს აღკრძალვა იმან გამოიწვია რომ ეხლა კარდიფში მყოფს გემს კარდიფის ქვა-ნახშირი უძღვია რუსეთის ესკადრისათვის გამოლ ზღვაში. ხმავე ისმის, რომ ბრიტანიისა და გერმანიის მთავრობას მსჯელობა აქვს ამ ქამად ამ საგანზედაო.

კალკუტა. (რეიტ.). ბრიტანიის მისსია, ქაბულს მიმავალი, ჯელალაბადს მივიდა, სადაც ბინა მიეცა ემირის სასახლეში.

ტოკიო, 22 ნოემბ. (რეიტ.) ზოგიერთ დიდ სახელმწიფოთა კეთილ-განწყობილება ბალტიის ესკადრისადმი თანდათან აღელვებს აქ ხალხს. ჰფიქრობენ, რომ იაპონიის ესკადრა პროტესტს გამოუცხადებს გერმანიისა და პორტუგალიის მთავრობათ იმის გამო, რომ რუსებმა ისარგებლეს ამ სახელმწიფოთა ახალშენების ნავთ-სადგურებითა და გემებზედ ნახშირი დაუდეს.

ჩიფუ. (რეიტ.). პორტ-არტურის გარშემოდგომილ იაპონელთ იმედი აქვთ, ეხლა შეეძლებათ ნავთსადგური პირდაპირ ნიშანში ამოიღონ და ყუმბარები დაუშინონ, ხოლო ერლუნგშანის ფორტს — მხარდამხარებითაო, რადგანაც «203 მეტრის სიმაღლე გორაზედ» ციხის სანგრევი ზარბაზნები დაუსდგით. რუსები იურფელის თავგამოდებით ესვრიან ამ ფორტს თოფ-ზარბაზნებს.

შანჰაი, (რეიტ.). რუსებმა დიდძალი ბატარეები დაუშინდაპირეს «203 მეტრის სიმაღლე» გორას.

რომი. შუადღის 12 საათზედ მონათლეს პიემონტის პრინცი. მიმრქმელად იყო დედოფალი მარგარიტა ხოლო საპატიო მიმრქმელებად — ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლოზი, იმპერატორი ვილჰელმი და ინგლისის დედოფალი. ამ უკანასკნელთა წარმომადგენლებად იყვნენ: იმპერატორისა პრინცი ადალბერტ პრუსიელი, ხოლო დედოფლისა — პრინცი არტურ კონნაუტელი.

მუკდენი, 22 ნოემბ. (საკ. კორ.). სადამოთობით ხუანშანში იაპონელები პეროლსტატებს უშვებენ იქიდგან უცხოს სინათლის გამოჩენით აძლევენ ნიშანს. ფინხუანჩენ-მახეძის რკინის გზის კეთება ჰბრკოლდება მასალათა უქონლობის გამო. განზრახვა აქვთ ამ რკინის გზაზედ ვაგონები ცხენებით ათამოძრაონ.

ორიოლი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სარგებლის გადაუხდელად ასესხა 50,000 მანათი ორიოლის საგუბერნიო ერობას იმ სათადარიგოთა ოჯახებისათვის დასახმარებლად, რომელნიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

პეტერბურგი, ფლიგელ-ადიუტანტს პორტუგის დიდს მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძეს ებოძა შტაბს-როტმისტრობა.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

19 ნოემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,30
ლონდონში ჩეკები	94,45
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	91½ 5. გაჟ.
4% სახელმწიფო რენტა	—
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ. მამულთ ბანკისა	—
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	427½ წ. გაჟ.
5% მეორე შინაგ. ესხის. მომგებ. ბილ. 1866 წ.	320 წ. გაჟ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სათავ.-მამ. ბანკისა	271 წ. გაჟ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო ხაზინ.	—
4½% ობლიგაცი იმავე საზოგადოებისა	—
4½% ტფილ. სათავ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცელ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სათავ. მამ. ბანკის გირ. ფურცელ.	—
5½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	81¼ წ. გაჟ.

სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა»

ტ ფ ი ლ ი ს შ ი:

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. ღია არის დილის 10—2 საათ. სალამ. 5—7 „ კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „
2) ნაძალადევში, ვოლოპროვოდის ქ., № 131. ღია არის დილით 10—2 საათ. სალამ. 5—9 „
3) ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19 ღია არის დილით 10—2 საათ. სალამ. 5—8 „

განცხადებანი

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი „ოლიმბრინი" მ. ჯ. ლებედევის"

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სამფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობისა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (0 5—16)

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: **книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.**

ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

დაიბეჭდა და დარიგდება გასასყიდად ყველგან

საყოველთაო სურათებიანი კალენდარი

შედგენილი **კ. თავართქილაძის-მიერ**

კალენდარში მრავალი საკალენდრო ცნობათა განყოფილების გარდა, მოთავსებულია ვრცელი სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი შეიცავს 256 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

იბეჭდება და ამ თვის დამლევს გამოვა ამავე ავტორის

სურათებიანი კედლის კალენდარი,

შევსებული მრავალ სასარგებლო ცნობებითა და წერილებით, მშვენივრად, ფერადის წამლებით დაბეჭდილს კარდონზედ (რუსეთშია მომზადებული). ფასი 40 კაპ. პარტიობით მყიდველს დაეთმობა 40%.

ადრესი: ტფილისი, კ. თავართქილაძე. (6—6).

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასათვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. «**უცხო ანდაზები და წინადადებანი**», რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., წვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწეროს. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: **Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили.** (10—8)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები	15 კაპ.
რაჟა, სოსიკო მერკვილაძისა	20 ,,
რაშია ბედნიერება, ისე რაჭველისა	10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა	10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი	7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".**

(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

გაზეთ „ივერიის" რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ დრამა-ლეგენდა

ლალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნზე დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდეთ**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**", მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**" აცნობებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეეხება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**", გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**" საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშევარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰღირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთი. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: **Т-во „Эндолянъ". Варшава, Милая 37/105.**

განსაკუთრებითი ნაწარმოებია.

(5—5—)

Тип Е. И. Хеладзе Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.